

სოლი ქადაგი კუთხი

1916 წ 03 ნოემბრი 5.

რედაქციის აღმასრულებელი: თბილისი, ოლღას ქუჩა № 6.

ფასი 12 კაპ.

# სოლი ქადაგი მანამისაბაზი

იუმორისტი.  
უურნალი

№ 23

თბილისი  
ფეხსაცემი  
მანამისაბაზი



მოხუცი. მე შედარებით ბეჭნიერი ვარ. ხელობა ვიცი. ჩემს მეზობელს შიმშილით ძალი მოუკვდა,  
გავატყავე და აი ეს ქალამნები შევიკერე.

„მანამისაბაზი“. რა დაგიჯდათ?

მოხუცი. მკვდარ ძალში შვიდი მანეთი გადვიხადე. გატყავებისა და ტყავის გაწეიპარტება გაშრობის  
კიდევ ნ მანეთი, წვრილმანი მასალა ვ მანეთი. ქალამნები სულ რაღაც ოციოდ მანეთი დამიჯდა.

# სასიამლუნო

## აქტავი.

შაქეს პატივი ვაუშეო ქართველ საზოგადოებას, რომ „ქართულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების“ გამგეობას ფრიად კეთილი და გონიფრული რამ განუჩრახავს:

— საქმე შეეხება საყვარელი მგოსნის აკაკ წერეთლის საფლავის დაბლა ჩამოტანას. ზამთრობითაც გასაჭირია, არა თუ ზაფხულის სიცხვში, მთაწმინდის აღმართის შედგომა და მამა დავითის ეკლესიაზე ასვლა ძვირფასი საფლავის სანახავად. ამ თავებანწირული მოგზაურობისათვის საჭიროა პლატონიური სიყვარული და არა ქართველური. აი ამ მოსაზრებით გადაუშევეტია ზემოხსენებული საზოგადოების გამგეობას მგოსნის სასაფლაო ქვევით ჩამოიტანოს და ამ სიმპატიური განზრახვის სისრულეში მოსაყვანად უსარგებლია იმ ბუნებრივი ძალით, რომელსაც მთაწმინდიდან დაქანებული ცოფიანი ნიაღვარი ეწოდება.

ნიაღვარს ჯირ-ჯერობით მხოლოდ სასაფლაოს ზედა პირი წამოუღია და იმედია ორ-სამ გზობაზე სრულიად ჩამოიტანს, დაახლოვებით საჩაიე „მმური ნუგეშის“ რაიონში, სიდაც ამდენი ქველმოქმედი ქართველი საზოგადოება იყრის თავს.

პატივისცემით ეშმაკი.

## მოსალოდნელი წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო! „ეშმაკის მათრახის“ მე-23 ნომერში მოთავსებული იყო საზოგადო წერილი ვიღაც ეშმაკისა, თუ უხილავესა. არ ვიკი რათ დასჭირდა ბ-ნ ეშმაკს განზრახ გადამახინჯებული ცნობის მიწოდება და მით საზოგადოების მოტყუება.

საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობას აზრათაც არ მოსვლია საყვარელი მგოსნის

საფლავის დაბლა ჩამოტანა და მით უშეტეს არ მიუნდება ასეთი პასუხსაგები საქმე ნიაღვარისათვის. შეიძლება ბატონმა ნიაღვარმა ჩვენდა დაუკითხავთ იყისრა ეს, მაგრამ დანამდვილებით ვიცით, თქვენი თანამშრომელი ბ. ეშმაკი განზრახ თხზავს ამ ამბავს და არავითარი ცვლილება სასაფლაოზე არ მომხდარა. ნეტავ როდის მოელება ბოლო თქვენს უურნალში ბ. ეშმაკის ამგვარ ინსინუაციებს და ფაქტების გადამახინჯებას.

საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობა.

## მოსალოდნელი

### პასუხის პასუხი.

ბ-ნ რედაქტორო! მე მწუხარებით გადავიკითხე საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობის პასუხი მიმართული ჩემი წერილის წინააღმდეგ. პატივუმული გზებებია ან სრულიად არ იცნობს საკამათო საგანს, ან განზრახ ამახინჯებს ჩემი წერილის უტრუარ ფაქტებს. მისი პასუხიდან აუკარათ სჩანს, რომ იგი გაურბის ჩემი წერილის არსებითსა და დადებითს მხარეს და ამხედრებულია კერძოთ ჩემი პიროვნების წინააღმდეგ.

ყოველივე იმს, რაც მე ჩემს პირველ წერილში მოგახსენეთ და რაც ჩემს მოწინააღმდეგეთ არ უარუყვიათ, მსურს დავსძინო შემდეგი:

მგოსნი აკაკის სასაფლაო ჩემი შეხედულებით უნუგეში მდგომარეობაშია, მუხსის ბოძები დამპალ-დამკელებულან და თვით საფლავიც უფრო მეთვრამეტი საუკუნის ნაშის მოგავლნებს, ვიდრე გუშინ გაჭრილ სამარეს.

პატივისცემით ეშმაკი.

## მოსალოდნელი პასუხის

### პასუხის პასუხი.

ბ-ნ ეშმაკი არა სცხრება. არ იქმარა წინეთ შეხეზული ინსინუაცია და ძველს ახალი დაუმატა, თითქო მეტორებაში მას ვინმე ეცილებოდეს. ახორებულია სწორეთ! მისი პირველი ტყუილები ჩვენ

საფუძვლიანათ დაგარღვიეთ წინა წერილში და ახლა იძულებული ვართ კიოლი გაეცესინჯოთ მის მეორე ცილისწამებას.

ბ. ეშმაკი ბრძანებს: „მგოსნის სასაფლაო (თუ საფლავი) უნუგეშო მდგომარეობაშია. იგი მეთვრამეტე საუკუნის ნაშთის მოგვაგონებსი“. არა თუ ისეთი დილეტანტი, როგორიც ბ-ნი ეშმაკი ბრძანდება, ისტორიული ნაშთების შესახებ უფრო წინდახედულებაც ეთქმის საყველური. რა იცის ბ-ნმა ეშმაკმა, თუ ყოველივე სასაფლაო ძვირფასია, როგორც ისტორიული ნაშთი და მით უფრო ძვირფასი, რამდენათაც უძველესი.

ბ-ნ ეშმაკს არ მოეთხოვება იმის ცოდნა, მაგრამ პატივუმულ რედაქტას კი უნდა სცოდნოდა, რომ ჩევნი საზოგადოება ყოველივე ნაშთს ამ თვალისაზრისით უყურებს და კიდევაც იმისთვის არ მოურთავს მგოსნის საფლავი დროებითი სამკაულოთ.

იქმარეთ ბ-ნო ეშმაკო ჭორები.

ქ. ს. საეტნ. საჩ. გამგეობა.

## მოსალოდნელი უკანასკნელი სიტყვა.

მე დაუმსახურებლით მიმაჩნია ქ. ს.-ს. ს. გამგეობას შეუცერებელი კილოს წერილი ჩემს წინააღმდეგ. დინჯსა და დამსახურებულ (გარეშე აკაკის წაფლავისა) საზოგადოებას უფროდ მეტი ტაქტი და მოპირდპირის პატივისცემა მოეთხოვება.

კითხვის გამოსარკვევათ მე ვიწვევ სამედიატორო სასამართლოში აღნიშნულ გამგეობას და ჩემის მხრით ვასახელებ პატივუმულ სოსიკო მერკევილაძეს. ვადას ვაძლევ დღიდან ამ წერილის გამოცხადებისა ერთ კვირას. განაჩენი უნდა დაიბეჭდოს ყველა გაზეთებში და თვით მგოსნის, აკაკი წერეთლის, თხულებათა პირველ ტომში, თუ მის გამოცემას როდესმე ხელს მოჰკიდებს აღნიშნული საზოგადოება.

ეშმაკი.

## მოსალოდნელი პასუხი უკანასკნელი სიტყვისა.

სიამოვნებით ვეთანხმები ბ. ეშმაკის წინადაღებას სამედიატორო სასამართლოს შესახებ და ჩევნის მხრით ვასახელებთ იმ მოლოზონს, რომელსაც აბარია ი. ჭავჭავაძის საფლავის მოვლა.

ამასთანავე საჭიროა მცირეოდენ შევეხოთ ბ-ნი ეშმაკის უკბილო ოხუნჯობას აკაკის თხულებათა გამოცემის შესახებ. აშკარაა მგოსნის ნაწარმოებთა პირველ ტომში უნდა დაიბეჭდოს პოეტის ნაწარმოები და არა სამედიატორო სასამართლოთა დაღენილებანი. ამასთან ერთად შეიძლება იმ ტომის გამოსკლამდე ათი გამგეობა გამოიცვალოს და საიდან შეგვიძლია ჩევნ ეშმაკის პირობა მიიღოთ.

ქ. ს. ს. ს. გამგეობა.

## მოსალოდნელი განაჩენი.

სამედიატორო სასამართლომ იქნია რა მსჯელობა „ეშმაკის მათრახის“ თანამშრომელ ბ-ნ ეშმაკისა და ქ. ს. ს. ს. გამგეობის შორის ამტყდარ დავიდარაბის შესახებ დაადგინა:

ა) არ შეიძლება ითქვას ბ-ნი ეშმაკის მიერ მოთავსებული წერილი „სასიამოვნო ამბავი“ სიმართლეზე არ იყოს დაფუძნებული.

ბ) არ შეიძლება ითქვას, რომ პასუხი ქართულ საისტორიო საეტნოგრაფიო საზოგადოების გამგეობისა სიცრუე იყოს და არა სამიართლიანობით გამოწვეული.

თავმჯდომარე ნ. კალანდაძე.

მედიატორენი 

{	1 სოსიკო მერკევილაძე.
2 მოლოზონი X *).	

.

\*) „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია ამით საბოლოოთ სპობს ამ საგანზე კამათს.



## განცდა

— „ამანაგო! (მწერდა იგი)  
ეს პატივი კიდევ მეტი,  
ამასთან რომ ბარათია  
იგი ჩემს ცოლს გადაეცი.

საპასუხო მისამართიც  
ჩემი შენვე დაუწერე  
და თუ რამე ხიფათია  
ჩემს ოჯახში, შენ მომწერე.

არ მასვენებს სიბრალული  
უპატრონო ღვახისა,  
ვერც გავიგე მათი ბედი  
და მაწუხებს მხოლოთ ისა,

რომ ცოლი მყავს მარტო ხელა  
ძუძუს ბავშე გადაძეიდე,  
იქნებ უკვე დაიხოცნენ  
და მე კიდევ ცოცხლათ ვსოვლიდე.

სხვა რა გიოხრა აქაური  
ხოცვა, ჟლუტა, ცრემლ-სისხლს გარდა  
ადარ ვფიქრობ მომავალზე,  
დამავიწყდა რაც მიყვარდა.

თუმცა ვფიქრობ, საქციელი  
ჩემი ძლიერ გაგიკვირდეს,  
მარა მსჯავრიც იმან დამდგას,  
ვისაც ჩემი ბედი სჭირდეს“.

ეს წერილი, რამდენჯერმე  
გადვი ითხე სრულის გრძნობია,  
თავი ეიგრძენ იმავ კაცად  
თქვენ ამაში თუ მენდობით.

მარა მაინც მოსაზრებას  
ჩამოეშვა შავი ფარდა  
და ვიფიქრე: „ნუ თუ მართლა  
დავიწყდა რაც უყვარდა?!

ნუ თუ მართლა აღარ ფიქრობს  
მომავალზე ამხანაგი!

შეაფურთხა წმინდათ წმინდას,  
დავიჯერო მისგან აგი?

მარა თანვე მის წერილში  
ჩატ-გამული მომავანდა  
მის შესახებ, რომ მსაჯულის  
მე უფლება აღარ მქონდა,

რადგან იგი, მის ბედში მყოფ  
მსაჯულს საქმეს მიანდობდა  
და მის ამგვარ მოთხოვნას ც  
უკანონო ვერვინ სცნობდა.

ამ დროს, თითქო შეოქმულივით,  
შემოვიდა ცოლი მისი,  
ძაბ-ფლასში გახევულსა  
მწუხარება ახლდა თვისი.

რა შევხედე, დავიბენი,  
მწუხარების მეცა ელდა,  
გრძნობამ სძლია ჩემს გონებას  
და თვალებიც შემიბნელდა.

სიჩუმე მან დაარღვია,  
მდაბლათ თავი გაღმოხარა,  
„სანდროს წერილს ველოდიო“,  
თვალი თვალში გამიყარა.

მე წერილი გადავეცი  
და მიზეზი ვკითხე გღოვის,  
მან სურათით მიპასუხა  
მის ერთ შეილზე გამოთხოვის

და ამ სურათს ჩემი ხსოვნა  
სამარეში ჩაიტანდა,  
იმით მიეხთი, რომ შეილის ხატს  
დედის ცრემლი ხელზე ბანდა.

ბუტუნა.



## დეპეშები

(ბუტიუნის სააგენტო).

**ფოთი.** რადიო ტელეგრაფის „კონვენის“ უფროსი ბ-ნი „მხიფავი“ მთავარ სადგურს ატყობინებს, რომ მან დაიწყო სასულიერო უწყების ჩევიზია და ახლო მომავალში სისტემატიურათ მოვაუწვდის სენსაციურ ცნობებს.

სადგურ „მზაერავი“-ს უფროსი ბ-ნი „თვალთმაქცია“ იტყობინება: „პატარა ფოთში ახალი სასოფლო არჩევნები (თცის თვეები) ხალხში უარპყო, რადგან ამაში გურულების ბოროტ-განზრახვა—ძველებური „ათისთოობა“ და ახალთოობა შეამჩნია. ის პირი, რომელიც ურჩევდა ხალხს თცისთავები აირჩიოთ, მავნე პირათ იქმნა ცნობილი და იძულებული გახდა გადასახლებულიყო ქ. ფოთში“.

სადგური „დიაცი“-ს გამგე ქ-ნი „როკაპი“ გვატუბინებს: „ქ-ნი აგნტისა, რომელიც ამას წინათ აფიცერს გაჰყვა „სამეცადინოთ“, დაბრუნდა ფოთში და შეამდგომლობს ისევ აგნტთან მორიგებასეო.

სადგურ „თილისმის“ უფროსი ბ-ნი „გულთმისანი“ წინასწარიეტყველობს: 1) მუშის ჭარმის მაღენლები, რომელიც 2 პას ღებულობენ ადგილს დაჭარგვენო. 2) კომპერატივი „კონომია“ დაპკარგავს რამოდენიმე ას მანეთს იმ ნისიდან, რომლის ჩათვლით შარშან 1200 მანეთი „მოიგო“. 3) მიუხედავათ იმისა, რომ ბ-ნი ტყემალია თავი გამოდებით იცავს ვაჭართა ანტერესებს, მომავალ არჩევნებში მაინც გაშავდებათ“.

მთავარი სადგურის ცნობით: ურჩნალ-გაზეაბის კიოსკში მოხდა პრაპორჩიქსა და ჭალარა მეგაზეთს ჭორის საპოზიციო ბრძოლა, რაც გამოიწვია გაზეთ „კავკ. სლოვო“-ს მეორე დღით მიღებამ. ტრანიკომედია ვერ შესდგა, მსმენელები მარტო კომედიით დაკმაყოფალდნ.

**იქიდანვე.** რაინდი იმდევიშვილი გასამართლების დღეს მივიდა ამასწინეთ მისგანვე გალაზულ

სალიაქვაძის ნოქართან და სოხოვა სასამართლოში საქმის მოსპობა, რადგანო, ამბობდა იმდევიშვილი, „დანაშაული ხაზაინ-შიკიტნების შეჩენით ჩავიდინ ნეო“. ნოქართან აპატივა იმდევიშვილს დანაშაული, მარა პირობა დაადგებინა, რომ შემდევში კიდევ არ გალახოს ხენებული ნოქარი და თუ ვერ მოითმონს „უღვანობა“ და გალახოს, დარიგება აღარ სოხოვოს.

**ქუთაისი.** ახალგაზრდა ვაჟთა შიხედვით ადგილობრივმა ქალიშვილებმაც შეადგინეს რამოდენიმე გუნდი ქუჩაში მომლერალ ასულთა\*). ცხადია აქ ქალ-ვაჟთა თანასწორობის საკითხთან გვაქვს საქმე. ტყვილათ ხომ არ ამბობს ქართული ანდაზა: „მორცხვი ქალი,—ერთ ქალაქად, მორცხვი კაცი—ერთ ქალამნადო“.

**ხაშური.** გზათა მინისტრმა ფიცხელი განკარგულება მოახდინა: დაუყოვნებლივ გაფართოებულ იქმნას ადგილობრივი რკინის გზის სადგურის პირველი კლასის დარბაზი, ვინაიდნ ის უკვე ველარი იტვეს ხაშურის მოსწავლე ახალგაზრდობას.

— დრამატიული საზოგადოების გამგეობა პირველ მაისიდან მოყოლებული მუდამ დღე სდგაში ი. გედევანიშვილის „გამცემს“ მშვენიერად მორთულ აკნების კოშკში.

### გარდენიშვილი.

**თელავი.** თელავის სტრანიკებს ღამის ორ საათზე შეტაკება მოუხდათ ტელეგრაფის ბოძებთან. მსუბუქათ დაიჭრა ორი ბოძი. ყაჩალები მართულებში გამძვრალიყვენ და დეპტით გაპარულიყვენ.

— თელაველმა მგოსანმა გ. ზამუკოვმა გამოსცა მეორამეტე ტომი თავის „თხზულებათა“. ბ-ნ სუკაჩოვს განზრახვა აქვს გამოკემა საკომისიოთ შეიძინოს, ქალალდის პარკები დააკეთოს და მით „ნაწარმოებს“ ფართე ბაზარი მოუპოვოს.

\* ეს სამწუხარო შეცდომა სრულად ბ-ნ კორექტორს მიეწერება, რომელმაც ვერ შენიშნა უაღავო აღავას ჩაჩრილი „ე“-ინი და „ასული“—„აგსულათ“ გადამახინჯა.

## ინდოური და გუ.

ინდოურმა ფულუროში  
ქუთაველი ბუ დაინახა.  
— „უკი, რასა ჰგავს საძაგელი“,  
ამიპარტიგნად დაიძახა.

და მიმართა გაფხვირულმა:  
— „გადმოპხედე სანახავსა, —  
ნახე ჩემი კოხტა თავი,  
შენს ბოხვერას სულ არ ჰგავსა“.  
ბუმ მიუგო: — „შენი თავი  
ლიმაზია მეტის მეტი,  
მაგრამ ტვინი ცოტა გიძევს  
მით შტერი ხარ და ცერცეტი“.  
მ. ველისცახელი.

## გაება ვირთხა!

სცენა 1 მოქმედებათ.

(ჭიათურისათვის)

მომქმედნი პირნი:

მიხა ესტატიჩი — ვაჭარი, ახოვანი და ლამაზი  
ვაშქაცი.  
საყვარელა — მეთორნე რაჭველი.  
აბდულა — კურტნიანი მუშა.  
ბოქაული და ექვსი მოქალაქე მოწმე.

მოქმედება სწარმოებს დ. ჭიათურაში, მიხას  
მაღაზიაში.

გამოსვლა 1.

მიხა მარტო.

მიხა. (ლამეა. კარებ ჩაკეტილ დუქანში ზის და  
მეორე დღისთვის გეგმას აწყობს, თუ ვინ უფ-  
რო რიგიანათ გაყვლიფოს. შემდეგ გადაპხე-  
დავს სიმღიდეებს და სახე გაბრწყინვებული  
გიჯიფით იცინის). ხა, ხა, ხა! ვინ შემებრ-  
ძოლება ვინ! ვინ რას გამიბედავს, მე, ოქროს  
მეფეს? მართალია ოდესლაც შიშველი და  
ცარიელი ვიყავ, მაგრამ დღეს ჭიათურის  
შბრძნანებელი ვარ. ამ ქვეყნის აღვირი მე მი-  
კირავს ხელში და საითაც მსურს იქით უკრავ

თავს ქველას: ხალხსაც, ბაზრის დეპუტატებ-  
საც, აკალოშნიკის და თვით ბოქაულსაც;  
ბევრჯერ დამიწერა ბოქაულმა ნიხრი, მაგრა  
ვერ მივართვი პატრიუანი! ჩემ ნიხრს მე უკა  
დავწერ. ნიხრი! ხა, ხა, ხა! თქვენ ნ-  
მომიკვდებით ალარ დაგიშლით და ნიხრი  
მოვართმევთ! მაშ რის ვაჭარივარ, თუ დროი  
არ ვისარგებლებ! ქვეყანა დუმა და მე  
ვთლი და ვთლი სანამ ძვალზე არ დავა-  
ბევრჯელ გამიკეთეს „იბისკი“, მაგრამ ვერ  
ასე არ ტყუილდება მიხეილ ესტატიჩი. ი-  
მაქვს ქსელები ეშმაკურ დახლართული, რო  
გორც ლემენტური პალევოი ტილიფონის ს-  
ნები. სანამ საობისკოთ წამოვიდოდენ, მან  
მე უჟე ვიცი ყველაფერი. შაქარიც შაქ-  
ფერილიც, საპონიც... (ისმის რასუნი) აი, კ-  
უსათუოდ საყვარელა იქნება. აღმათ ფერი  
უნდა. (ბიჭს) ბიჭო გაუღე კარები. (შემოღ  
საყვარელა).

საუფარება. ქვე რავა გიკითხო მიხეილ ხაზეინ?  
მისა. სამასლაათოდ არ მცალიან. სთქვი რა გინდ-  
საუფარება. ქვე ფერილი მინდა წევილო.

მიხა. ჰო, ჩემი საყვარელა, ჩუმათ წევილე არა  
დეინაზოს. ეს ერთი შეშოკი მაქვს და ხერ  
ნახე.

საუფარება. (ლიმილით) ქვე კი აძრობ ყოველ დ-  
ამ მეშოკებს იმ ტუნელიდან და...

მიხა. (შეუყვირებს) ხმა, კრინტი არ დასძრა არსა  
თვარა სამუდაშოთ გაგიციებ იმ შენ თორნე  
თუ მიხეილ ესტატიჩი ვარ. ჰა, მეიტა ფარა  
საუფარება. ხაზეინ, სამი თუმანი ძვირია...

მიხა. (შეუყვირებს) რაიო? შენ რა გენალვლე-  
ოუწიო ფას.

საუფარება. ქვე რავა უნდა გავყიდო გირვანქა,  
დალოცვილო!

მიხა. სამი შაური, აბაზი. რავა მუშტარი არ გემ-  
ლება თუ! ხომ ხედავ ორი კვირაა ჭიათურ-  
ში ქატოსა და ტალახსა სქამენ. შენს მე  
არავის ექნება თეთრი პური და როგო-  
გინდა ისე გაყიდე. საწყალი კაცი ხარ, მან  
რომ ერთი ორი გროში შენც მოიგო და ი-  
ტომ გაძლევ ასე იაფათ. ჰა, მოიტა სამი რ-  
მანი. (მუშას ეძახის) აბდულა! წოულე ეს  
შოკი საყვარელას. (საყვარელა ფულს აძლ-  
და მუშას გაყენება უკან).

საუფარებელა. (კარებში) ხაზეინ, თუ მიშოვი კიდო  
ერთ მეშოქს...

მისა. ჰო, მოდი და გნახოთ. მხოლოთ ღამე მოდი.

არავინ გაიგოს შენი მოსელა იციდე.

საუფარებელა. კი, ბატონო. ჩორჩი ხოდიდან მევიდე?

მისა. არავინ გაიგოს, თორემ გაი შენს ტყავს.

საუფარებელა. კი, ბატონო, კი შენი ჭირიმე. (გადის).

მისა. უცურეთ ამ ბებერ ქოფაკს, მევაჭრება კიდეც!

(მიიხედ-მოიხედავს) მეფე ვარ, მაშ რა ჯანდა-

ბა. უთვალავი საქონელი მაქვს და მუშტრე-

ბი აქეთ მევეწერებიან. (იცინის) ხა, ხა, ხა, ხა!

დიდი უულიკი კი ვარ აი! ის „ეშმაკის მათ-

რახის“ კორესპონდენტიც ხომ მოვიმადლიერე.

ორი გირვანქა შაქარი სახლიდან ჩამოვატანიე

და ისე მივეცი. მითომ დუქანში არ მქონდა

და ძმა-კაცობა გაუწიე. ის ეხლა ხელში მყავს,

ის ჩემზე არაფერს დგეწერს. ერთი სიტყვით

კრუგომ გაჩისტული მაქვს საჭმე. (ისმის რა

ხუნი) ნეტავ ვინ უნდა იყოს?!! (შეშინებული

მივა კარებთან) ვინა ბძანდებით?

სმა გარებან. „ოტკროი დვერ, მერზავეც!“

მისა. ვაიმე, ეხლა კი გავები ვირთხასავით მახეში.

ეს ნამდვილათ პრისტავია!

სმა. „სკორეი, ტი ნეგოდიი!

მისა. ოჯ, საყვარელა, ეს სულ შენი ოინებია და  
მე მიხეილ ესტატიჩი არ ვყოფილვარ, თუ არ  
გადაგიხადო სამგიერო, (კარს გაალებს და  
შემოვლენ: მუშა აბდულა ფქვილის ტომრით  
ზურგზე, საყვარელა, ბოქაული და ექვსი კაცი  
მოწმე).

ბოჭაული. (მიხას) როგორ მიჰყიდე შენ ამას ეს მე-  
შოკი ფქვილი?

მისა. (დაბნეულათ) მე... მე... მე, გასპალინ პრის-  
ტავ, ოცი მანეთი გამოვართვი.

ბოჭაული. მართალი სთქვი, თორემ გაგაციმბირებ,  
შე ავაზაკო, შენა!

მისა. (საყვარელას თვალით ემუქრება) მე... მე...  
მოგახსენებთ... 20 მანეთი ავიდე, 18-თ ნა-  
ყიდია.

ბოჭაული. (აბდულას) მითხარი შენ ყველაფერი მარ-  
თალი, თორემ ხომ იცი!

აბდულა. მე, გინიაზ, ვალლა მართალი უთხარამ.

მიხაკო ხაზეინ ჩემთან ფირიკაზანია გააკეთა  
მე ღამე არ დაიჩინოს. როდის მუშტარი მო-  
ვიდა, მე უნდა ქვილი ზიოლო.

მისა. არა, სტუუის გოსპოდინ პრისტავ...

ბოჭაული. „მალჩატ!“ (აბდულას) რას ახდევინებს  
მეშოქში?

აბდულა. იტირისიტ რუბლი.

ბოჭაული. მართლა?

აბდულა. ვალლა, მართალი უთხარია გინიაზ.

მისა. ტყუილია, ბატონო, ტყუილი...

ბოჭაული. „მალჩი, ია ტებე გოვრორიუ!“

აბდულა. (მიხას) მიხაკო ხეზეინ შენთან კა კასი არ  
არის. მე როდის დღუილი უთხარია!

ბოჭაული. (მიხას) „პოვესიტ მალო ტებია მერზავუა!“

მითხარი ჩქარა სადა გაქვს: შაქარი საპონი.

მისა. მე... მე... ვინ მამუა, ბატონო, საპონი!

აბდულა. (ბოქაული) დღუილია, გინიაზ, ზაპონი და  
არია მაგასთან, შაქარი და არია, მარილი,

ბრინჯი, ი სიფიჩქი, სულ კელაფერი არია.

მისა. (უბღვერს აბლულის) სტუუის, ბატონო, სტუუის.

ბოჭაული. „ნუ-კა ობიშჩებ. (სტრაენიკები, ბოქაუ-  
ლი და მოწმები ათვალიერებენ და აღმოჩე-  
ნენ 21 ყუთს ტოლეს საპონს, ტომრებით  
ფქვილს და სხვა აუარებელ გადამალულ სა-  
ქონელს). ეს რა არის, შე რაზბონიკო, შენა?!

მისა. (იბნევა) მე... ბატონო, არ ვიცი, მე...

ბოჭაული. (სტრაენიკებს) „ვზიარ ეგო ვ უჩასტოკ  
(სტრაენიკებს მიჰყავთ მიხა).“

აბდულა. (მიხას) ვაალლა, შენთან ახია კოლაფერი.

შენ ჩემთან მუშის ფული არ მოსული. შენთან  
სირსხვილი არ არის! ფუ, ქართანლალა ქო-  
ფოლლი.


მისა. ბატონო მე... მე...

ბოჭაული. „იდი“. „

აბდულა. (მიხას) მე, მე, რა მე! იტირისიტ რუბლი  
ბირ მეშოქ, შენთან ნამუსი არ არის! ფუ,  
დურაქ.

გეგენანი. გაება ვირთხა მახეში. (საერთო სიცილია).

გოგია.



„ღალატი“ სახაზინო თეატრში 30 მაისს.



სულეიმან ხანი. ჟაპინ-შაჰ მადლიერი იქნება მხედვალისათვის.  
გაიანე. (გულახლილათ) არასოდეს, არასოდეს, არასოდეს...

## რა მმართებს ვიუო!..

დავჯეჭ, დავფიქრდი: ქეყნისთვის  
რა უფრო მარგებელია?  
რა ააყვავებს ქვეყანას,  
ჟექსინო სარგებელია,  
რით მოვაშორებ ქირ-ვარამს,  
რით ვიყო მისი მხსნელია,  
რა მმართებს ვიყო ხელობით,  
რომელს მოვკიდო ხელია?

ვიყო ქეყნისა მფლობელი,  
მმართველი, გამგებელია,  
მისი ერთგული დარაჯი  
ღარიბალატაკთა მცველია,  
თუ ვიყო სულის მოძღვარი,  
სამოთხის გამდებელია,  
გზა მართლის მაჩვენებელი  
ცოდვილთა გამკურენელია?

არა, მე ამას ვერ ვიზამ,  
ეს მე არ შემეფერება!..

(თუ გინდ შევიქმნე კილეცა  
არავის დაეჯერება).  
ახლათ დავფიქრდე. ნატვრისთვის  
მიჯობს შეურე ხანს ჩერქება...  
(და თუ ვისურვე ესენი  
სირევნეთ მომეწერება).

მოსამართლობა შემფერის  
სამართლის გადამჭრელია,  
მალე შევიტყობ, გარედან  
ვინც-კი შიგნითგან ჭრელია,  
ვიყო ვექილი, მეტყველი,  
ხელო ვიგდო კაცის მკვლელია,  
მართალი მიტსუ სასჯელსა,  
დავიხსნა დასასჯელია...

მკურნალი ვიყო გულქვაი  
სნეულთა გამყვლეფელია,  
ჭირთა უმალეს, სიმდიდრეს  
აფალებინო ხელია...  
ქალაქის თავი რომ ვიყო  
ეგ უფრო სასურველია...

არ დაგვაკლდება შაქარი,  
პური, ერბო და ყველია.

—  
მოდი გავხდები გაჭარი  
ნება-რთვით გამძარცველია,  
იაფათ ვიგდებ, თუ შემხვდა  
რაიმე სასყიდელია,  
ზაფრამ, ვაი მას, ვინც ჩემი  
მუშტარი და მყიდველია.  
ომია ირგვლივ ფიცხელი  
შემთხვევით ჩვენი რთველია.

—  
თუ ვიყო პოლიციელი  
ეგ დარჩეს ხელისყრელია...  
დაე მიწოდონ მექრთამე  
ხარკების ამკრებელია.  
ბაზრის აგნტიც კარგია  
ჩუმ-ჩუმათ გადამკვრელია,  
სუკი, თევზი და სხვა ბევრი  
გარნალა საკითხველია?

—  
რედაქტორობა სჯობიან,  
პრტყელი სიტყვების მთქმელია.  
თანამშრომლებიც თუ კი ჰყავს  
მისებრივ საქმის მქნელია,  
ესეც კი იცის ხან და ხან,  
თუ საქმე შემოელია,  
ერთი კალმისა მოსმითა  
ლვიძლ ძმათა წამყილველია.

—  
ვფიქრობ, თან ვამბობ: ეს ყველა  
ჩემთვის ძალიან ძნელია,  
გარ და განვაგრძობ, ვიქები  
მუშაკი ოფლის მღვრელია.  
ხან და ხან გასართობათა  
„მათრახის“ მხმარებელია,  
გავკრა და გავატკაცუნო  
ნაწინავი ერთობ მწველია.

—  
გთხოვ მომიტეო, ეშმაკო,  
ლუქსი თუ ცოტა გრძელია,  
კიდევაც დამრჩა მრავალი  
ძეირფასი სანატრელია

ისტორიულსად გახდომა  
ამბები მეთხსა ძველია,  
მისთვის გვეჩუმდი, როდენაც  
გახლავარ უსწავლელია.

ან. განჯის-კარელი.

## ქართველი „შევარდნები“.

პარამილა\*)



\*) ეს სურათი თუმცა მერთალად გამოხატავს თფილი-ლის სათავადაზნაურო გიმნაზიის „შევარდნენთა“ სიჩაუქეს, მაგრამ ვძებლავთ ახალგაზრდა მხატვრის ნიჭის წასაქეზებლად.

## აირია მონასტერი

ტრაგედია ერთ მოქმედებათ.

(მოქმედება სწარმოებს ქ. გორში. კლუბის დარბაზი ხალხით გაქცელილია. სწარბოებნ მანდილოსნები. კრება მღელვარებს. შესავალ კარებთან ჩისაფრებულია ცეკვის მქრბელთა რაზმი).

### პროლოგი.

ქართულ საქმეს რო დაიწყებ  
გაიხედავ...  
უცებ ხათა!  
საცა იყოს და არ იყოს  
გამოხტება  
შევი კატა,  
კუდს გამოჰკრავს და რამდენიც  
არ უძახო;  
აუხა აუხა!  
არ დასტოვებს თუ ის საქმე  
საგრძნობლათ  
არ დაამარცა.

ქშება.

### მოქმედნი პირი.

ქ-ნი ანასტასია.

ქ-ნი ელენე.

ქ-ნი სულიკო.

ქ-ნი მაშიკო.

ქ-ნი ანგეტა.

ქ-ნი სოფიო.

ქ-ნი ცქვიტი.

ქ-ნი გვრიტი.

ბ-ნი ჩიტი.

ბ-ნი შაქრო.

მანდილოსნები, სლუტრაჟისტები, გარეშე მაურებელნი და სხვა.

ქ-ნი ანასტასია. (ალელვებული ხმით მიმართავს საზოგადოებას). ბ-ბო! მე მინდა აქ დამსწრე საზოგადოებას გავაცნო იმ უთანხმოების ისტორია, რომელიც ჩამოვარდა თავმჯდომარის და გამგეობის შორის. იყო და არა იყო რა ლეთის უკეთესი რა იქნებოდა! იყო ერთი საზოგადოება, სახელად „მანდილოსანი“. (იწყება ჩიტებით. შიგა და შიგ

გაისმის პროტესტი: არ გვინდა! გააჩუმეო! ძირს!!).

ქ-ნი სულიკო. (ძლიერი შესტიკულიაციით). თქვენ ვინ მოგცათ ლაპარაკის ნება? ვინ მოიწვია დღევანდელი კრება? (გაისმის მხურვალე ტაშის გრიალი და ყვერილი: კრება უკანონოა! უკანონო!!!)

სუფრაგისტება № 1. (ხელების ქნევით და მარიფათიანად) სად არიან ჩვენი გამგეობის წევრები? მე მხოლოდ ორიოდ პირს ვხედავ. („უკამანდრებს“) გამგეობა! მარშ სცენაზე! (გამგეობა როგორც ერთი კაცი ცერემონიალური მარშით სცენაზე ადის).

სუფრაგისტება № 2. ბ-ბო! მე საჭიროთ მიმანია, რომ კრებამ წესიერების დასაცავად თავმჯდომარე აირჩიოს. მე ვასახელებ ქ-ნ ელენეს. (გაისმის მხურვალე ტაშის ცემა).

ქ-ნი ანასტასია. მე პროტესტს ვაცხადებ!

სუფრაგისტება № 3. მე კიდევ ვასახელებ ქ-ნ კრეინა თაფლოს.

სუფრაგისტება № 4. მე ჩემის მხრით ვასახელებ ბ-ნ შაქროს. თუ ის არ აირჩიეთ, თავს მოვიკლავ! (იღებს რევოლვერს და პირებს თავის მოკვლას, მაგრამ იარაღს ხელიდან გამოსტაცებენ).

სითრაგისტება № 5. (ქოლგასა შლის და ლეკურსა თამაშობს). კრება უკანონოა! არ გვინდა თავმჯდომარე!.. (გაისმის ტაშის გრიალი).

ქ-ნი ანასტასია. ბ-ბო! ვინა ხართ იმის მომხრე, რომ თავმჯდომარე ავირჩიოთ? (დგებიან სუსკელანი და ისევ სხდებიან).

სუფრაგისტება № 6. ბ-ბო! გთხოვთ ეხლა ჩემ წინადაღებას უყაროთ კენჭი!

ქ-ნი ანასტასია. ბ-ბო! ვინა ხართ მომხრე, თავმჯდომარე არ ავირჩიოთ? (დგებიან სუსკელანი. გაისმის საშინელი ხმაურობა. არ გვინდა თავმჯდომარე! გვინდა თავმჯდომარე! ავირჩიოთ! ნუ ავირჩეთ! ალელვებისგან დარბაზში ცეცხლი ჩნდება. მქრბელი რაზმი შემოდის და აქრობს.)

ქ-ნი მაშივა. (ნაზათ) ბ-ბო! გთხოვთ წესდების 41 მუხლს მიაქციოთ ყურადღება. (კითხულობს) ... „კრება კამონიერია მაშინ, თუ მას წევრების 1/3 დაესწრება“...

ბ-ნი ჩიტი. (ალტაცებით). ბ-ბო! მე პრინციპი-ალურად წინააღმდეგი გარ ყველივე წესდებისა. სულ სხვა იქნებოდა რომ ჩვენი საზოგადოება ავტოკეფალური იყოს და არა ავტო კეკე ქალური. მაშასადმე აქ ყველაფერი კანონიერია.

სუფრაგისტება № 6. (გამოსტაცებს წესდებას

ქ-ნ მაშიკოს და განაგრძობს იმავე მუხლის კითხვას გასაოცარი ზრდილობიანი კილოთი). ბ-ბო! 41 მუხლი ბრძანებს, რომ... (გაისმის სიცილი).

ქ-ნი ანასტასია. (კითხულობს წესდებას). ბ-ბო! გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ წესდების 5 ნ მუხლს! (ამის შემდეგ თავიდან ბოლომდე კითხულობენ წესდებას გამგეობის ყველა წევრები სათითაოდ).

სუფრაჟისტება. (ერთად) ოქვენ წესდება სახლ-ში უნდა გეხსავლათ და არა აქ. გთხოვთ აირჩიოთ თავმჯდომარე. (ირჩევენ ქ-ნ ელეგნეს..)

ქ-ნი ანასტასია. მე პროტესტს ვაცხადეს..

ქ-ნი ელენე. ბ-ბო! ვიდრე ვიდრე მე ჩემი შოვალეობის აღსრულებას შეუდგებოდე, ვთხოვ გამგეობის თავმჯდომარეს, ქ-ნ ანასტასიას გადმომცეს ემ საათში ოქმები და საერთოდ მთელი საქმეების წარმოება.

ქ-ნი ანასტასია. დიდის სიამოვნებით, მაგრამ მე მთელი ოქმები მდივანს გადავეცი.

მდივანი. მართალია, მაგრამ მე ჩემის მხრივ ქ-ნ ნინოს გადავეცი.

სუფრაჟისტება № 6. (ზრდილობიანად) ბ-ბო! ეგ ოქმები მთელი ორი თვე კანცელარიაში ბრძანებოდნენ. შემდეგ ამისა ქ-მა თავმჯდომარემ მას კლიტე დაადო, რადგანაც ეშინოდა, რომ ოქმები არსად გაპარულიყვნენ. თუ არა ვცდები ეგ ოქმები ეხლა ქ-ნ მარიამს უნდა ჰქონდეს.

ქ-ნი ელენე. (მიმართავს ქ-ნ მარიამს შეკითხვით). ქ-ნი მარიამ! ოქვენ ნახეთ ის ოქმები? რა უყავით?

ქ-ნი შარიამი. (ირონიულად). ქონიანი იყო და კატა მიარბეიტებდა. (გაისმის სიცილი).

ქ-ნი ელენე. ბ-ბო! გსურთ თუ არა, რომ ოქმების მოსატანად კაცი გავგზავნოთ კატასთან. (ერთ-ხმად: „გვესურს“).

ქ-ნი ანასტასია. (აღელვებული). ბ-ბო! ვიდრე ოქმებს მოიტანდნენ, გთხოვთ სიტყვა მიბოძოთ.

ქ-ნი ელენე. მიირთოთ!!!

ქ-ნი ანასტასია. აღამიანის ენა ვერ გამოსთვევამს ჩემს შეურაცყოფას. თემურ ლენგი, ჩინგის-ხანი, ატილა, აღა-მავმად-ხანი ანგელოზები არიან ამ გამგეობასთან შედარებით... (ამ დროს გამგეობის წევრები ხანჯლებს იძრობენ და იწევენ ორატორისკენ. ქ-ნი ანასტასია განაგრძობს). იმ დღეს ქ-ნი სულიკო შემომიერდა საჩაიეში, ჯერ მაგიდას „კლიონეკა“ აათხრიშა და მერმე დახრჩობას მიპირებდა. ის იყო ჯოხი უნდა ეელო ხელში და დაეცხო, მა-

გრამ მე თავს უშველეს. ამას წინედ საზოგადოების ხარჯით არიფანაც-კი გამართეს გამგ. წევრებმა და შრავალ-ემიერ შემოსხახეს...

ქ-ნი ანეტა. (მრისხანეთ). მე პროტესტს ვაცხადებ ფაქტების დამახინჯებისთვის. მრავალუფამიერ კი არა, ჩენ კანგალა გოგონას ვმლეროდით.

ქ-ნი ანასტასია. მე თქვენი პროტესტები ვერ შემაშინებს. მე დავარსე „მანდილოსანი“. ჩემი საყვარელი ერისთვის. (ამაყალ). მე... ჩემი... ჩემისა... ჩემსე... ჩემით... ჩემად... ჩემო... მე... კიდევ მე!.. (გაისმის მხურვალე ტაშის ცემა და პროტესტი).

ქ-ნი სულიკო. ქ-მა თავმჯდომარემ ფაქტები გადამახინჯა. დაუკითხავთ მან 300 ფუთი პასკა გამოიწერა და „კრუზები“, სადაც ფულს ვაგროვებდით ბეჭდები ააგლიჯა. ეს პასკები დღესაც ისე ყრია საჩაიეში და სირცვილით თავი ვეღარსაც გამოიყვანა, ყველა „ქრისტე აღსდგას“ მილოცავს..

ქ-ნი სოფია. თქვე რომ 12 ფუთი კარაქი მომტაცეთ? რატომ ამაზედ აღარაფერს ამობთ?

ქ-ნი სულიკო. თქვენ რომ „სპიჩები“ დაარიგეთ? ჩენი უთანხმოების მიზეზი ყველამ უნდა გაიგოს. ჩვენ წინააღმდეგი ვართ თვითნებობის. დევ თვით ხალხმა გაგვასამართლოს.

ქ-ნი შაქრი. (რიხიანად). მე არ შემიძლიან დავეთანხმო ამ სიტყვებს. უმრავლესობა რას მიქვიან? განა ჩვენ მუდამ უმრავლესობის ხმას უნდა დავემორჩილოთ? მაგალითებს მე ჩემი საკუთარი ცხოვრებიდან მოვიყვან. შარშან ხმოსნების უმრავლესობამ მე „უპრავილან“ გამომაბრძანა... (გაისმის აქაი ჩურჩული: რა ჰქონიანია!!).

უცნობი ხმა. ბ-ნი შაქრი! თქვენ გესმით რაზედაც ლაპარაკობთ?

ქ-ნი შაქრი. (ჩირცინებს). Странно! განა საჭიროა, რომ მესმოდეს?

სუფრაჟისტება № 4. (დიდის გრძნობით). ვაშა!..

ქ-ნი ელენე. ბ-ბო! ვისაც კიდევ ლაპარაკი გსურთ, გთხოვთ ფეხზე წამოდგეთ. (ყველანი დებბინა).

ქ-ნი ჩიტი. (ძალზედ ეხვეწება). თქვენი ჭირიმე მალაპარაკეთ.

უცნობი ხმა. ბ-ბო! მთელი დღე რომ ვილაპარაკოთ ჩვენ მაინც საკითხს ვერ გადავწყვეტთ. ამ კრებაზედ ძნელია იმის გამოკვლევა, ვინ არის მართალ-დამნაშავე. მე შემომაქვს წინადაღება ავირჩიოს კომისია. (გაისმის მხურვალე ტაშის გრიალი).

სუფრაჟისტებები. გაუმარჯოს კომისიას!!

მანდიჯოსნები. (გაკვირვებული). ქა? ვინ არის ე კომისია? ერთი დაგვანახევთ მაინც!

ქ-ნი ეჭენე. ბ-ბო! გთხოვთ დაასახელოთ კო-  
მისიაში კანდიდატები.

ხშება. ცქვიტი! ცქვიტი! (კენჭს უყრან და  
აშავებენ).

ქ-ნი ცქვიტი. გმადლობთ, ბ-ბო! გაშეებისთვის.  
მე უარს ვაცხადებ... (ირჩევენ კომისიას 5 მანდი-  
ლოსნისაგან. არჩეულ იქმნა სუფრაჟისტება № 4).

სუფრაჟისტება № 4. ბ-ბო! მე კიდევ ვიცხა-  
დებთ, რომ თუ კომისიაში ბ-ნი შაქრო არ იძი-  
ჩიეთ, ემ საათში ან თავს მოვიკლავ; ან ყველას  
დაგხაცამთ. (იძრობს რევოლვერს. ვაისმის პრო-  
ტესტი: გააჩუმეთ! არ გვინდა! უწიცრივ გავარდება  
დამბახა. საშინელი ჩოქერობია. სუფრაჟისტები  
ხანჯლებს იძრობენ, მანდილოსნები რევოლვერებს.  
გამგობის წევრები შეიარაღებული ეკვეთებია თავ-  
მჯდომარეს).

ქ-ნი გვრიტი. დაიჭირეთ!

ქ-ნი სულიერ. (მიდის ქ-ნ ანასტასიასკენ და  
გულში ჩისცემს ლახვარს). მოკედი, შე სასიზღარო!

ქ-ნი საფათ. (მიდის ქ-ნ სულიერსკენ და  
ჩასცემს გულში ბებუთს). გაუმარჯოს შურის ძიე-  
ბას! მოკედი შენც მაგასთან... (თითონაც თავს  
იკლავს. გაისმის საზარელი ისტერიკის ხმა).

სუფრაჟისტება № 5 (მიუბრუნდება № 4-ს) სუ  
შენი ბრალი კია შე საზიზღარო. (დახლის გულში  
რევოლვერს. ამ დროს დარბაზში შემოაქვთ ტყვიის  
მტყორცნელები და ცეცხლის მქრობელი მანქანები.  
შეშინებული ხალხი გარეთ გარბის. დარბაზში შე-  
მოდინ მოწყალების დანი და სანიტარები, რომელ-  
ნიც ბრძოლის ველზე დაჭრილებს კრეფავენ).

### ეპილოგი.

(ბ-ნი სანგანიძე ზის „მანდილოსნის“ საჩაიეში  
და სწერს კორესპონდენციას „სახ. ფურულისთვის“)

... მანდილოსნების კრებამ შშენიერად ჩიია-  
რა. სამაგალითო წესიერება სუფევდა. სწორეთ გა-  
საკვირველია ის სოლიდარობა, რომელიც სუფევს  
გამგეობისა და მის თავმჯდომარის შორის. ვაშა  
ქართველ ქალებს მადლობა... დიდი მადლობა  
ჩვენს დებს და დედებს. ვიცი ჩვენს „დასელებს“ ეს  
არ ესიამონებათ, მაგრამ მათი ღვარძლიანი გული  
შურის მეტს ვერასა გრძნობს. დამსწრე საზოგადოე-  
ბას გული აუჩიუდა გორელ მანდილოსნების სო-

ლიდარულ მუშაობით. ბევრს თვალთაგან ქრია-  
ლოსნებად ასხმული ცრემლები ჩამოსცვივდა ..

P. S. დაწვრილებითი ცნობები შემდეგ.

ს. გ.

ნალველა.

## შ ე რ ა დ ე ბ

პირველ, ნაწილს შარადისას  
ქალაქ გარეთ გამოვნახავთ,  
იხლო მისვლა არ გვჭირია  
შორიდანაც დავინახავთ.

ფრინველები რო ბულობენ,  
და ნადირთა არის ბინა,  
(სადაც გლეხმა სიცივის დროს  
ხელში ცულით მიირბინა).

სამ ასოთი რომ ითქმება  
და თავდება ასო ენ-ზე...  
თუმც შარადის სისრულისთვის  
ჩვენ გამოვცვლით ენ-სა ვენ-ზე.


მეორე კი ყვავილია,—  
საამო და მიმზიდველი,  
გაზაფხულის თანამგზავრი—  
მით იქცობა ტყე და ველი.

აი, ჩვენი შარადისა  
დასაწყისი, დასასრული;  
ჩვენც ერთმანეთს გადავაბათ  
და მიგილოთ სიტყვა სრული.

მით გამოვსთქამთ ბედურულ სახელს  
ახლა ხშირად გასაგონსა,  
სიცოცხლეს, რომ ემტერება,  
საქმეს შერება დასალონსა.

პატარაა, საშიშარი  
და განთქმული სიმძიმითა.  
ამ ორ წელში ბევრი გული  
დაიფლითა იმისნითა...

ჩრჩილი.



## სიღნალის რამე-რუმე.

სარწმონო წყაროებიდან გავიგეთ, რომ სიღნალის ქალაქის თავს, ნ. ამირხანოვს, „მადლიერი მცხოვრებლებში“ მომავალ არჩევნებში ისევ ასახელებენ ქალაქის თავათ. ასეთი აღფრთოვანება გამოუწვევით თვით ქალაქის თავის სიტყვას, რომელიც წარმოუთქვავს მაისის თვეში ერთ-ერთ კრებაზე, სახელდობრ: თავის თანაშემწის არჩევის დროს. იყო ფრიად ნიჭიერი კაცია და ევროპიულად გაწვრთნილი, მაგრამ რა საჭიროა ჩემი ქება, აი თვით მისი ნათევამი სიტყვა: „მე თქვენ ამომირჩიეთ, არა! მაშ მე ქალაქის თავი ვარ და ოქვენ კი, ხმოსნებო, ჩემი ფეხები\*)“ მე როგორც გიბრძნებთ, ისე უნდა მოიქცეთ; ვასაც მე დავასახელებ ჩემს თანაშემწით, თქვენც ის უნდა ამოირჩიოთ, მორჩა და გათავდა!“ ამ სიტყვამ დიდი ტაში და ვაშა გამოიწვია ფეხებში.

— ერთი სიღნალელი სამხედრო მიმომხილველი იწერება, რომ სიღნალის უპრაგის შენობის მარცხენა მხარეს დიდი მზადებაა და ამ მოკლე დროში შეიძლება რაიმე ცვლილება მოხდეს.

განდყოფილი.



**უშადურს.** თქვენი წერილი: „ვაი მეგრული ენისაგან“ არ დაიბეჭდება, ვინაიდან სამსონ დადიანი, თანმხედი მანდილოსანი და ცისფერ ტანისამოსიანი ხომ ყველანი მეგრული ენის მცოდნენი არიან და თუ მართლაც ისეთი არასასურველი რამ უსურვეს მეგრულის მცოდნეთ, ხომ თავის თავსაც იგივე შესთავაზეს.

**ვინმე ჭია-ს.** სამწუხაროთ თქვენი ლექსები ჩვენს უშადურს არ უდგება: ვბეჭდივთ მხოლოდ სახუმაროს.

\*) რა თქმა უნდა მყითხველმა ეს წინადადება ისე კი არ უნდა გაიგოს, როგორც მაგალითად: თქვენ ფეხებზედაც არა მყიდისართო, არამედ ისევე, როგორც ნათევამია.

განდყოფილი.

**ენერი-ს.** რუსები ამგვარ „უსცენას“ ეძახიან „ქარიშხალს ერთ ჭიქა წყალში“. განა ღირს ბ-ნისებ გუნცაქეზე ამდენი მელნის, ქაღალდის და დროს ხარჯვა?

„ქვითირელ ფუტკარს“

„აშას წინაზე ბიძავე,  
ბორიტება განიძრასქეს  
ბეჭდებოდა სწორედ იმ დროს  
მედავითნე გაგვიდასქეს.  
დაკოჭლება არ აქმარეს  
და გინგიმით გაისტუმრეს!..“

თუ დაკოჭლება დანაშაულია, რა არის მე-დავითნის კოჭლობა თქვენი ლექსის კოჭლობასთან შედარებით.

## ჭერილი რედაქციას

ბ. რედაქტორო! თქვენი უშადურის 20 ნომერის პირველ გვერდზე მოთავსებული კარიკატურა ძროელ პროვოკატურულს წაგავს; ეს ერთი, — მეორე როდის ნახეთ თქვენ რომ სანჩო-პანჩო რაშ სომებზე მჯდარიყოს, ის ხომ მუდამ ვირზე იჯდა, ამიტომაც ის ეხლაც ვირ-სომებზე უნდა შეგვჯინათ.

როგორც გეტულიათ აქაც მორცხვათ ეკიდებით ჩვენს „მოყვარე“ მეზაბლებს.

პატივისცემით ნიკ. კვიშინაძეებ.

პატივცემულონ ნიკ. კვიშინაძეებ!

ჩვენი უშადურის 20 ნომერში მოთავსებულ კარიკატურას თავისი განსაზღვრული მიზანი ქონდა, რასაც ჩინგბულით მივალწიეთ. ის შეეხბოდა განველილ საერთობო თათბირს და მუნ ქართველ გლეხებზე მოჯირით ქართველ თავად-აზნაურობას.

სომხობას ჩვენ სრულიადაც არ შევებივართ და არც ვირი მოგვიგრია სანჩოსათვის. ჩვენ მხოლოდ ქართველი გლეხის ბეჭი გვაინტერესებდა და თუ კი თქვენ მაინცა და მაინც გსურდათ სანჩო ვირზე მჯდომარე გენახათ გამოგვეგზავნათ საკუთარი სურათი. ჩვენ ბეჭრი ვეძებეთ, მაგრამ ვერაფერი ამის მსგავსი ქართველ ვლეხობაში ვერ აღმოვაჩინეთ.

პატივისცემით ეშმაკი.

## სახალხო საცლი.

გვირას 5 ივნის 1916 წ.

სახალხო სახლის სცენის-მოყვარული მიერ ნ. ჯავახიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

### ერთ საღამოს როლი პიესა

I

ნინოშვილის მოთხოვიდან გაღმოკეთებული 3. ირეთელის მიერ.

### ქრისტიანე

დრ. 4 მოქმ.

II

### რაჭ გინახავს ველარ ნახავ

კომ. 3 მოქმ. ა. ცაგარლისა.

დასაწყისი 8 ნახ. საათზე.

აღგილების ფასი 5—49 კ-მდე.

გამგე ალ. ბადრიძე.

## განცხადება.

**ფოთი.** მდგომარეობათა გართულების გამო ჩვენმა სააგენტომ თავისი რაიონის ოთხსავე კუთხეში დაიარსა განყოფილებები. კუთხის აპარატებს ეწოდება განსაკუთრებული სახელები: მაგ. პპრატი 1-ლი „გოვენდი“ ჩაიბარა მოხელე ბ-ნ „მხიფავი“-მ, რომლის მოვალეობას შეადგენს სასულიერო უწყებაში ჩადენილ ბოროტ-მოქმედებათა ძიება.

**პპარ.** 2-რი „მზვერავი“ ჩაიბარა მოხელე ბ-ნ „თვალთ-მაქცი“-მ, რომელსაც ევალება ერისგანთა და მოხელე მამაკაცთაგან ჩადენილ ცოდვებია აღნუსხვა.

**პპარ.** 3-ე „დიაცი“-ს ხელმძღვანელობა იყისრა ქ-ნ „როკაპიტ“ რომელიც ჯოჯოხეთში განთქმულია მაძიებლობით და რომელსაც ევალება მანდილოსანთა შორის ფარულ განძრახვათა დაწვრილებითი გამოკვლევა.

**პპარ.** 4-ე „თილისმა“ მიენდო ჭამსახურებულ მოხელეს ბ-ნ „გულთამისანს“, რომელიც იწინასწარმეტყველებს დაახლოებით ერთი თვით, ან წლით ადრე, რაც უნდა მოხდეს მომავალში.

პატივისცემით სააგენტოს უფროსი ბუტუნა.

# პ ა რ ც ი ს ც ი ს.

ჩვენ, გურიის ფაიტვნებსა, დელენებსა და ლინეიკებზე მომუშავე ცხენები, ენერგიულ პროტესტს ვუცხადებთ ჩვენს ხელმძღვანელ მეეტლებს, რომელნიც, ათასგვარ ფიზიკურ უდიერობასთან ერთად, უზომო ზნეობრივ სატანჯველსაც გვაყენებენ.

განსაკუთრებულის ენერგიით მოვითხოვთ მოსპობილ იქმნას

ჩვენი მმობლების ცინიკური შეურაცხეოთა.

მუდამ წამს გვესმის დედის გინება ამა თუ იმ მეტლისაგან, სრულიად დაუმსახურებლათ და უმიზეზოთ.

დროა ბოლო მოედოს ამ უსამართლობას.

ერთი კოჭლი ცხენი.

გულ-მოკლული ეშმაკი, ღრმად დამწუხხებული მორიელი, მარად ტანჯული კოდო, ძაბილი მოსილი ლარი, ცრემლ შეუშრობელი გუგული, ბედშავი ონისიმე, საუკუნოთ დაობ-ლებული გოგია და ბედის უმაღური ბუტუნა უდიდესი გულისტყვილით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ უდროვო გარდაცვალებას დაუვიწყარი პრეზიდენტისა და აწ იმპერატორის


## იუსტიციისას

პანაშვილები ყოველ დღე. (გარდა ორშაბათისა, სამშაბათისა, ოთხშაბათისა, ხუთშაბათისა, პარასკევისა, შაბათისა და კვირისა).

დაუყცვნებლივ საჭიროა  
უცინზურ სიცივათა ლექსიკონი  
გამოუგზავნით ფადეალუბით  
ოზურგეთში: ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის გამგეს.

== უფასოდ, მუქიად! ==  
გასწავლით რევოლუციონ სროლას  
**თელურის გულვარში**  
როცა სასეირნო ადგილი ხალხით სავსეა.  
მკვლელობისა და დასახიჩრდისათვის  
კას უხს სრ ჰაგიათ.

პატივისცემით:	ტიბრან ნარიმანოვი ტუშვას გიში ვართანა.
---------------	---



შორეულ მიზნისაკენ.